

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მედიკინების სახლში, № 43  
**კანტორა რედაქციის:** მედიკინების სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროება“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ბანსხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.  
**ფასი ბანსხადების:** კაპიტალით კით ასოზე—1 კაპ., ასო-მოთხოვრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სტრიქონით—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრაბი

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

ამ პირველი ივლისიდან ვიდრე 1878

წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თბილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მედიკინების სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

**ფასი** ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

ჭალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газеты „Дროება“.

### ცალკე ნომრები

„დროებისა“ იხილდება:

**პარტიანოვის წიგნის მალაზიაში** (ტუკის ხილზე, მიწხოვეის შენობაში)

**ბრიჭუროვის წიგნის მალაზიაში** (ტუკის ხილთან, ზუბალოვის სახლში)

**„სულთანის“** თამბაქოს მალაზიაში (სუდის ქვეშ).

**„პარდანანის“** სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქრავსლაში)

**აზნაშროვის** თამბაქოს მალაზიაში (ბულვარზე)

**ბრიჭოლოვის მალაზიაში** („ტუკის სასტუმრის ქვეშ, მიწხოვეის სახლში).

**ჯიშხაროვის** თამბაქოს მალაზიაში (ტუკის ხილზე).

**ჭუთაისში**—სვ. ჩომახიძესთან (ბუბერნის სტამბაში).

„დროება“ — ჭუთაისში

იხილდება სვიმონ ჩომახიძესთან, ბუბერნის ტიპოგრაფიაში, ბულვარის პირდაპირ.

ერთი ნომრის ფასი — შაშრაბი

გაზეთი მიიღება ჭუთაისში საღამოს 8 სანათზე იმავე დღეს, რა დღესაც თბილისში გამოდის.

**უმოკრძელოსად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთი ხელის-მოწერა ანუ არა იმდენი ხარჯი კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც ვეძიებთ მალე გაასწოროს ანუ არა იმდენი და ხვედრი ფული გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.**

## ორის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

ლორას-მელიქოვის კორპუსიდან არფერი ახალი ამბავი არ მოდის. ორივე მხრიდან მოწინააღმდეგენი უყარაულებენ ერთმანეთს და თვალ-ყური უჭირავთ, რომ მტერმა უეცრად არ დაგვეცესო. მხოლოდ ხანდისხან, ამ ერთმანეთის ბანაკების დათვალისებრი დროს, მოხდება ხოლმე მცირეოდენი შეტაკება და ერთისა და მეორეს მხრით თითო-ორი კაცი იხოცება და იჭრება.

მაგიერად გუშინდელმა ტელეგრამამ მოგვითხროს ყურადღების ღირსი ორი ამბავი:

ერთი ის, რომ დიდძალი ოსმალის ჯარი მოსულა იკედისაკენ რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით იმ განზრახვით, რომ ტერ-ლუკასოვის ჯარს შეეხება. ტერ-ლუკასოვის მოსამხედრეებელად ღენ-ადიუტ. ლორის-მელიქოვს ჯარი გაუგზავნია იკედისაკენ.

ამ ორ-სამ დღეში იქითკენ შექველია შეტაკება მოხდება და ჩვენს მიხედვით ამბავს.

მეორე ამბავიც ის არის, რომ 2,000 კაცს ოსმალის ჯარს არტაანის ადგილს განუზრახავთ, მაგრამ ძამაროვს უკან დაუბრუნებია ეს ჯარი. საფიქრებელია, რომ მტერი კიდევ მიადგება არტაანს; მაგრამ იქაურ ჩვენს ჯარს შიში არა აქვს, რადგან, როგორც დღევანდელ ჩვენს ახალ-ლაქის კორპუსთან დენციდამ შეერთებით არტაანისაკენ კიდევ ახალი ჯარი მიდის პოდპოლკ. პომაროვის ატრიალის მისამხედრეებელად.

ჩვენს ქალაქში გავრცელებულია ხმა, რომ ამ თვის დამლევამდე შარსისაკენ და შარანის სამხრეთისაკენ არა მოხდება რა შესამჩნევით.

შენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია 20 ივლისს თბილისიდან მიღებული შენიღები ტელეგრამა:

„გუშინ საღამოს სევერსკისა და დედესტის ცხენოსანმა ჯარმა დაათვალიერა მტრის საბანაკო ალაგები შიზინკევსა და შარსს შუა. ოსმალის სარდალმა გამოგზავნა ამით წინააღმდეგ თავის ჯარს, შეიქნა სროლა, რომლის დროსაც

რუსებს 5 სფაცერი მოუკლეს და 65 სალდათი და მედიკინური.“

მუხთარ-ფაშა ტელეგრაფით აცნობებს სტამბოლში სამხედრო სამინისტროს, რომ 13 ივლისს ჩვენმა ჯარმა დაათვალიერა მტრის ბანაკები, სამი საათის სავალზედ მიველით რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით ყველაფერი და შემდეგ მშვიდობით დაებრუნდით ისევ ჩვენს ბანაკშიო.

მეორის ბრძოლის ველიდან

ახლად-გადაყენებულს უცხო ქვეყნის საქმეთა ოსმალის მინისტრს საეჭვო-ფაშას შემდეგი სიტყვა უთქვამს: სამინისტრო კრებაში:

„ჩენი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია იმით, რომ ჩვენმა ჯარებმა მტერი აზაში გაიმარჯვეს. მაგრამ ჩვენ თავს არ უნდა დავუმალოთ იმ, რომ მეროპის ბრძოლის ველზე ჩვენი საქმეები თან-და-თან ცუდად მიდის, რადგან იქაურ ჩვენი ჯარების სარდლებმა საქმალი ნიჭი, წინ-დახედულობა და მხნეობა ვერ გამოიჩინეს; იმათი უზრუნველობის წყალობით, ჩვენ ღუნაიხვ დაზარალი შევიქენით, თუმცა დამარცხებული კი თითქმის არცერთად არ ვყოფილვართ.“

„თუ ასე ზაბუნათ წავიყვანეთ ჩვენ ბრძოლა მეროპაში, როგორც დღემდე მიგვყავდა, შექველია, რომ ჩვენ წაგებთ საქმეს. უკეთესი მთავარ-სარდალი, უფრო გამჭირაბე და მხნე ლენერლება გვეჭირებება იმის მოსამბრუნებლად, რაც დავკარგეთ. ჩვენი საქმე ჯერ მეროპაშიაც არ არის წაგებული. თუ მხნე ვიქნებით, არა გვიშავს-რა.“

პლენასთან რუსისა ჯარის სამჯერ ზედი-ზედ დამარცხების გამო, „მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელ ნომერში შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„ამ სამჯერ გამარჯვებამ შექველად განაშენა ოსმალის ჯარი და იმათი სარდლები. ამის გამო ახლა ისინი მეროპისა და აზიის ბრძოლის ველზედ უფრო მომეტებული მხნეობითა და სიმარჯვით იომებენ.“

ამის გამო აუტრილებელად საჭიროა, რომ ახლაც, რათაც უნდა დაგვიჯდეს, დავამარცხოთ ჩვენ პლენასთან ოსმალოები და თვითონ პლენას ჯარები შემოვარტყათ გარს და თუ იგრიშით





არა, შიმშილით მაინც ავიღოთ ეს ქალაქი, რომელმანც ამდენი მსხვერპლი მოითხოვა ჩვენგან.“

ამბობენ, რომ საქეთ-ფაშას მოთხოვნით, გამოიცვალა ღუნის არმიის მთავარ-სარდალი აბდულ-შერიფ-ფაშა და იმის წინადადებითვე დანაშნეს იქ ახალი სარდლები: მეჰმედ-ალი-ფაშა, მამან-ფაშა და სულეიმან-ფაშა.

სტამბოლში გამოცხადებული ოფიციალური ტელიგრამა გვაცნობებს, რომ პლენას გარდა, ამ თვის 15-იდან 20-მდინ, რამდენსამე სხვა ალაგებსაც დაეპარცხეთ რუსის ჯარით. სხვათა შორის, ამ ტელიგრამაში სწერია, რომ რუსებს ისევ წავართვით ქ. ლოვჩიო.

პრთს ნემეცურს გაზეთში იწერებინან, რომ სილისტრიის ალბა ძალიან გაუძნელდება რუსის ჯარსათ. მარნისაკენ მიმავალი რუსის ატრიადი იძულებული შეიქნა, რომ ბაზარჯიყში შეჩერებულიყო, რადგან წინ ოსმალოები დაუხედნენო. რაზგადთან ბრძოლისდროს, როდესაც რუსები დამარცხებული იყვნენ, ოსმალების მხრით 200 კაცია დაჭრილი და 100-მდინ დახოცილებიო.

# საქართველო

## უაღილო შედარება

პრთს რუსულ ჟურნალში („Русский Вѣстник“, № 6) დაბეჭდილი იყო ამას წინათ უფ. მენიუკოვის ვრცელი სტატია — „ხალხთა შორის კითხვები აზიაში“, რომელშიაც ავტორი, პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებით, ამტკიცებდა, სხვათა შორის, რომ ბათუმის მაზრისა და თვითონ ამ ნავსადგურის შემოერთება უფრო სასარგებლო იქნება რუსეთისთვის, ვინემ მცირე აზიის სომხეთისაო (შარსის ფაშალიყისა).

უფ. მენიუკოვს, როგორც ეტყობა, არ უყვარს სომ სომხები. პრთს ალაგას თავის სტატიაში ის ამბობს;

„სომხები შევიწროებულნი არიან მსამაღეთში; იმათ მისცეს თხოვნა ქავკასიის ნამესტნიკს, რომ რუსეთის ქვეშევრდომებად მიიღონ. რუსეთში სომხებს უპირატესობა აქვთ სხვა ხალხებზე, ისინი ვალდებულნი არ არიან სამხედრო სამსახურში იმსახურონ; მთელი ქავკასიის ვაჭრობა იმათ ხელშია. ამის გამო, რაღა თქმა უნდა, რომ სომხებს რუსეთის ქვეშევრდომობა ურჩვენიათ. მაგრამ ერთს გარემოებას ნუ დავივიწყებთ:

„მეფემ იცის — რა მძიმე უღლად აწევს დასავლეთ რუსეთსა და პოლშას ურიები. სომხის ხალხი ამ მხრით, ცოტაც არ იყოს, ურიებს მოგვაგონებს. შერ ანდოც იმათგან არათუ მთელი ქავკასია, სამხრეთი რუსეთიც ნახიფენი დამ ასტრახანამდი, ეკონომიურად შეწუხებულია, და თუ სომხები კიდევ მოემატნენ, მაშინ

მთელი ეკონომიური ბედი ქავკასიისა იმათ ხელში ჩაეარდება და ეს იქნება მავნებელია ქავკასიის დანარჩენ ყველა ხალხებისათვის და განსაკუთრებით გულ-კეთილ ქათველებისათვის... სომხის ხალხის, განსაკუთრებით იმათი ვაჭრების ხარბობა მთელმა ქვეყანამ იცის...“

„ამის გამო სომხების ელემენტის გაძლიერება ქავკასიაში არ შეადგენს პირ-და-პირ სარგებლობას რუსეთისთვის; და რუსეთს მხოლოდ სტრატეგიული და კაცთ-მოყვარეობის მიზნით შეუძლია ინატროს შარსისა და არტაანის შემოერთება.“

საზოგადოთ მთელ ამ უფ. მენიუკოვის სტატიაში და განსაკუთრებით ამ ჩვენგან ამოწერილმა ადგილმა ძალიან ააცხარა ჩვენი მთელი სის გაზეთი „მთელი სისის მოამბე.“

მს გაზეთი უმტკიცებს უფ. მენიუკოვს, რომ ის შემცდარია თავის მოსაზრებაში, რომ ბათუმი რუსეთისათვის ერთ გროშათაც არა ღირს, რადგან ჩვენ გზა არა გვაქვს ბათუმს მისასვლელი და ამ ქალაქს თავის ნავსადგურით მხოლოდ აჭარისთვის და მსამაღოს სომხეთისთვის აქვს მნიშვნელობა, რომ შოთს ჩვენი ვაჭრობისათვის ერთი-ათად უფრო ფასი აქვსო, რომ რუსეთმა უმთავრესი ყურადღება არზრუმს უნდა მიაქციოს, რადგან ამ ქალაქზე გადის ინგლისელების საუკეთესო გზა ინდოეთშიაო, — უმტკიცებს ერთი სიტყვით, რომ რუსეთისათვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნება არზრუმის მხრის შემოერთება, ვინემ ბათუმისა, ე. ი. სომხებისა, ვინემ ქართველებისა.

ჩვენ არ დავიწყებთ ახლა ამაზედ სჯას, არ დავიწყებთ ლაპარაკს იმაზე — თუ რომელი უფრო მართალია — უფ. მენიუკოვი თუ „მთელი სისის მოამბე“. არ დავიწყებთ უფრო იმიტომ, რომ ჯერ, სანამ ომი არ გათავებულა, სანამ ამ ომის გარემოება დარწმუნებით კაცმა არ იცის, ყველა ამ გვარ საქმეზე სჯა და მოსაზრება, მეტი რო არა ვსთქვათ, უდროვოთ მიგვარჩია...

ჩვენი ჰაზრი დღეს სულ სხვაა.

„მთელი სისის მოამბე“ (რომელიც ამ უკანასკნელ დროს თან-და-თან თითქო სომხურ გაზეთად ხდება) თავის პასუხში, სხვათა შორის, შემდეგ სიტყვებს ამბობს, როცა სომხის ხალხის სხვა-და-სხვა ღირსებებს ჩამოთვლის:

„სომხის ხალხი შრომის-მოყვარე, დამჯდარი კულის ხალხია. ქავკასიის სხვა ხალხებში ის არის ძველიდგ-ნვე მაწის მუშა და ხელოსანი ხალხი. რუსეთთან შეერთების შემდეგ, სომხის ხალხს არახალდეს არ შეუწუხებია მმართველობა არც თავის პოლიტიკურ დაუნდობლობით (политическую неблагонадежностью); არც თავის კეთილ-მდგომარეობაზე ზრუნვით (хлопоты) და არც თხოვნით, რომ მილიონები მარტქე ხანელმწიფო ხაზინიდაშაო... ამისთანა ხალხი დიდის სიამოვნებით უნდა მიიღოს ყოველი. ხანელმწიფომ თავის ქვეშევრდომად...“

მხოლოდ გონებით შარსის ვერ მიხვდება, რომ ეს პათივცემული „მთელი სისის მოამბის“ სიტყვები ჩვენკენ, ქართველებებისაკენ, გადმოკვრია. თუ გაიხსენებთ უფ. მთულის სიტყვებს, თუ გაიხსენებთ იმას — თუ რა რიგათ შეუტდენიათ ზოგიერთ აქაურ ახალგაზდა სომხებს ეს მსუბუქი ფრანცუზი, რა რიგათ დაუმცირებია იმათ, საცა კი მოუხერხებიათ, ქართველები და როგორ უდიდებით ყველაფერში სომხები, მაშინ უფრო ცხადად დარწმუნდებით იმაში, რომ ეს სიტყვები უეჭველად ჩვენზედ არის ნათქვამი.

საზოგადოთ ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა „განათლებულ“ სომხებმა ერთი ახირებული ჩვეულება და სისტემა მიიღეს თავის ხალხის ასამაღლებლად:

მს სისტემა ამაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი ქართული და ქართველების დაამცირონ. ამ გვარის ხერხით ისინი ფიქრობენ თავიანთ ხალხის ამაღლებას, თავიანთ წადილების შესრულებას.

ვინემ რომ ჰკითხოს ამგვარ განათლებულ სომხებს:

— ბევრი შკოლები გაქვთ თქვენ? ისინი უბრალოთ კი არ უპასუხებენ, რომ ამდენი და ამდენი შკოლა გვაქვსო. არა, ასე ეტყვიან:

— ძალიან ბევრი შკოლები გვაქვს და ქართველებს კი არცერთი შკოლა არა აქვთ;

— ზაზეთები როგორია თქვენ?

— ძალიან კარგი ზაზეთები, დიდი და ხალხში ძლიერ გავრცელებული. მართველებს კი ერთი რაღაც ზაზეთი აქვთ, ისიც ისე პატარაა, რომ მიკროსკოპით დასანახავი და კაცმა არ იცის — ვისი ხარჯით გამოდის, რადგან ხალხში სულ არ გადის.

— მამულის-მოყვარენი ხართ სომხები?

— ჩვენ სულ სომხურად ვლაპარაკობთ და ქართველები კი მომეტებული ნაწილი სომხურად ლაპარაკობენ და დანარჩენი რუსულად.


— მანათლებული ახალგაზდები ბლომათა გყავთ?

— ნვენში ძალიან ბევრი არიან სამზღვარ გარეთ გაზდილი სომხები, მაგრამ ქართველები კი სულ ვერ სწავლან და სხე. და სხე...

აი ამ გვარის ხერხით, ამ ნაირის შედარებით უნდათ ჩვენებურ განათლებულ სომხებს თავის ხალხის ამაღლება.

ჩვენ არ გვეგონა, თუ „მთელი სისის მოამბის“ რედაქციაც, რომელმანც არაერთხელ დიდის ამბით გამოაცხადა, რომ ჩვენ არც ერთი ქავკასიის ხალხის მიმდგომი, მომხრე და თაყვანის-მცემელი არა ვართო, ჩვენ მიუდგომელად განურ-





ჩვეულად ვიბრძოლებოთ ყველა აქაურ ხალხების საკეთილ-დღეობად და გონების განათლების გზაზე დაყენებისთვის, — ვამბობთ, არ გვეგონა, თუ ამ გვარი სიტყვების საქვეყნოთ მთქმელი „თფილისის მოამბეც“ ამ უხეირო გზას დაადგებოდა; მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვით, ეს გაზეთი ამ უკანასკნელ ხანებში თანდა-თან სომხდება...

ამბობენ, სომხები ანგარიშაინი და წინდახედული ხალხი არისო. ამ შემთხვევაში კი ვერ გამოიჩინეს იმათ თავის ანგარიშაინობა და წინ-დახედვა და...

სხვისი დამცირება კაცს არ აამაღლებს. ჯერ საფუძვლიანი დამცირებაც ყოველთვის უნაამყოფოდ ჩაუვლის ხოლმე დამამცირებელ; უაფუძვლო დამცირება ხო რალა უნდა იყოს!

ჩვენ რომ ამგვარის დამცირების სურვილით ჩვენი თავი შეურაცხყოფილად მიგვაჩნდეს, მაშინ ამ კილოთი და ასე გულგრილად არ ვილაპარაკებთ. მაგრამ ეს ხერხი „განათლებულ“ სომხებისა უფრო გვაცინებს და არა გვაჯავრებს. მურადლების ღირსი ყველა ამაში მხოლოდ ის არის, რომ ამგვარი ხერხი გვიჩვენებს ზოგიერთ სომხების ზოგიერთ არა-საქებ მიდრეკილებებს...

ს. მ.

„დ რ მ მ ბ ა“ კორამსკონდენსია

მ. ახალქალაქი, 23 ივლისს. ამ ივლისის 14-ს ჩვენს ქალაქში მობრძანდა დიდი მთავარი ძავეკაისის ნამესტნიკი და მეორე დღეს იწება პოდპორუჩიკის ჩიხუას სახლში შებრძანება და მისი ნახვა, რომელიც დაჭრილი იყო არტაანში; დაჭრილი დაასაჩუქრა. აქედან მიბრძანდა ლოპიტალში არტაანიდან მოყვანილი დაჭრილების სანახივად, უბრძანა მინიჭება მათთვის ჩაისა, შაქრისა, თამბაქოსი და სხ. აგრეთვე ნახა რუსეთიდან აქ მოსული ახალი ჯარი, მუთაისის მე-158 ქვევითა პოლკი.

ამ ქალაქიდან დიდი მთავარი ამავე დღეს წაბრძანდა ახალ გაკეთებულის ჯარებისათვის მთის გზით ბორჯომში.

13 ივლისიდან დაიწყო ახალმა რუსეთიდან მოსულმა მე-40 დივიზიის ჯარებმა დენა ბორჯომიდან ახალ გზაზედ ახალქალაქს; ორმა პოლკმა გაიარა და 6 ბატარეამ; კიდევ მოვილით ამავე მე-40 დივიზიას 2 პოლკს.

ამ ჯარებს ახალქალაქის მაზრის უფროსმა ძალიან ყურადღება მიაქცია და დიდს შემწეობას აძლევს ბორჯომის მთაზედ ძნელად გადასავალზედ ახალქალაქისაკენ.

ამ ახლის ჯარების ახალქალაქის

უზღში გამოვლამ ბევრი შეძინება მისცა აქაურს სომხებს; აქამდისინ ფუთი ქერი ისყიდებოდა 50 კაპეკათ, ესლა ჰყიდიან 80 კაპეკათ; თივა ფუთი იყო 25 კაპეკათ, ესლა აიყვანეს 50 და 60 კაპ; აქაური ერთი ოყა დაუმდნარი ერბო არის 50 კაპ., ესლა ჯარებისათვის ჰყიდიან 1 მანეთით და 50 კაპ. მსე ყოველივე ერთმანეთში კიდევ დაილ ფასად ისყიდება, მაგრამ ჯარებს კი არ აძლევენ: მე თვითონ ვნახე, ერთმა სომხმა აქაური ნახევარ გირვანქიანი ლავაში ერთ აბაზად მისცა მშიერ სალდათს.

ამ რამდენიმე დღის წინათ აქაური უფზდის ქართველების სოფ. ბოგაშენელების და ახალციხის მაზრის ზედათ-მოგველების 80 ცენი, როგორც დამარწმუნეს, ახალციხის სამზღვარიდგან მტკვარის გაღმა თათრებს დაუტაცნიათ.

სამზღვარზედ ახალციხის უფზში მცხოვრებელნი ქართველები ცუდს მდგომარეობაში არიან; ამისთანა ყაჩაღობა უფრო უნდა მოეწეროთ ადგილობრივ მცხოვრებს თათრებს და ქურთებს. ზაფილის 1853-ს წელს ბრძოლის დროსაც, ეს ქართველები აკლებულნი იყვნენ ახალციხის უფზისა ნიალისყურის, ხერთვისის საზოგადოების თათრებისაგან და მტკვრის პირზედ გაღმა-გამოღმით მცხოვრები ქურთებისაგან; ამისთანა, ბრძოლის შემთხვევაში მარძის მონასტრის ბერსაც კი უნდა ეშინოდეს.

ამ ჟამად აქ, სამზღვრების დასაცველად, დაიწინა დენერალი ლაზაროვი, რომლისაგანაც ღიღს იმედს მოველით ყურადღებას მიაქცევს აქაური თათრების და ქურთების მოქმედებას.

ახალქალაქას მაზრის უფროსის დიდი მადლობა გემართებს განუცხადოთ, რომ ყურადღება მიაქცია დასაცველად ყაჩაღებიდგან დუხაბორებს და ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებთ; მაგრამ, მაზრის უფროსმა რა ქმნას: ამ მაზრაში ყაზახი ცხენოსანი ჯარი არ არის და იქაური სომხებიდგან შეკრებულნი ცხენოსანი ჯარი ძალიან მშიშრები არიან, ას ცხენოსანს ათი ცხენოსანი თათარი რომ გადაუდგეს, სულ გაიქცევიან. ჯავახი ქართველები სულაც უხეირონი არიან; ზოგიერთს სოფლებში თუმც ღამ-ღამე ყარაულებ იწყებთ; მაგრამ ჯოხებით ყარაულობენ ამისთვის რომ თოფების ხმარება არ იციან და ვინც იცის, თოფებიც არა აქვსთ.

ახლა ჩვენ უნდა გვეშინოდეს თფილისის მაზრის მხრიდამაც საციციანოს მთებზედ ამოსული თარაქამა შარაჩოფელებისა, ორიალეთის მთებზედ მოსული ოქაქლებებისა, სარვანელებისა, ბორჩა-

ლოსი და სხ. თუ იმ მაზრების უფროსებიც ყურადღებას მიაქცევენ ამ თარაქამების დაწინაურებას და მოქმედებას, მაშინ არამთუ ახალქალაქის მაზრა, არამედ იმათი მაზრებიც მოისვენებენ.

უცხო ქვეყნები

საზრანბათი

ზრანცუზული გაზეთებიდამ ვტყობულობთ, რომ 27 ივლისს მაკ-მაჰონს პარიჟი მიუტოვებია და ორლენში დაბურჟში წასულა; თან გაჰყოლია მას მინისტრი დე-ჰურტუ და შინაგანი სამინისტროს კანცელარიის დირექტორი დე-მონჭერანი.


რა მიზეზია, რომ მარშალი ასე დიდს ხოლმე ამ უკანასკნელს დროს ერთი დეპარტამენტიდამ მეორეში და ერთი ქალაქიდამ მეორე ქალაქში? შევლასათვის ცხადია ეს მიზეზი: მაკ-მაჰონს ჰსურს, რომ 16 მაისის „საქმის“ შემდეგ, რეპუტაცია, გავლენა არ დაკარგოს საფრანგეთში და კიდევ უფრო მეტი თანამგრძობელი და თანამოაზრენი მოიპოვოს. დღეს თუ ხვალ მას ახალი დეპუტატების ამორჩევები მოელის და იმიტომაც დასეირნობს და ხალხს ეჩვენება, რომ ამ ხალხმა მისი პლანების გამომსრულებელი დეპუტატები ამოირჩიოს.

— ბაზ. „Nion“-ი გვაცნობებს, რომ ბონაპარტისტებს მოწერილობა მოსვლიათ ჩიზლგურსტიდამ, სადაც ნაპოლენ მე-III-ის ბუდის ნაგლეჯი კიდევ იმყოფება, რომ მომავალი ამორჩევების დროს მათ მაკ-მაჰონის მოწინააღმდეგე პარტიას მიეკედლონ. ლეგტიმისტების გაზეთები ამ გვართ მიმართულების გამოცვლას „სახელმწიფო ღალატს“ ეძახიან. შემო-მოყვანილი გაზეთის თითქოს ბრალდების დასამტკიცებლათ ბონაპარტისტების გაზეთი „Gaulois“ ერთს თავის სტატიის დაბოლოებისას ამბობს: „ჩვენ შორის, უ. მარშალო, ყველაფერი გათავებულა!“

— ორლენისტების გაზ. „Constitutionnel“-ი ამ ნაირათ ხატავს იმ პარტიების მდგომარეობას, რომლითაც 16 მაისის მინისტრების დადგენაში მიიღეს მონაწილეობა:

„თუმცა მიზეზი კაცმა არ იცის, მაგრამ კონსერვატორების „კავშირი“ რაც დღე მიდის, ისე, თითქოს იმედი ეკარგვისთო, თან და თან ღელდება, ანხლდება. ამ კავშირის შემადგენელი პარტიები (ფრაქციები) ერთიერთმანეთს პირზედობლივად და მუშტებით ემუქრებიან. პრავის არ ჰგონია, რომ ამ მოკლე ხანში მათ შორის რამე გვარი შეთანხმება შეიძლება. ლეგტიმისტები





სულ-წასულობას და გულ-ხარბობას აბრალევენ ბონაპარტისტებს, ბონაპარტისტები კი, თავის მხრით, საშისელს უწესობას აბრალევენ მათ; კონსერვატორების კავშირისა მათ აღრა სწამსთრა, ვგრეთვე იმ მმართველობისაც, რომელმანც თავის მფარველობის ქვეშ მიიღო ეს მიხრწნილი და მამაკედავი კონსერვატორების კავშირი.“

**ამერიკის უმართავი უბატავი**

ბუშინდელ „დროების“ ნომერში მოგვყავდა ცნობები იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთის ამერიკაში ამ ქამად საშინელი არეულობა არის მუშებისა; ქვემო-მოყვანილი ამბებიდამ შეიცვობთ, რომ ესლახანათ ეს არეულობა თანდა-თან ძლიერდება და იმისთანა უტატებსაც ედება, რომლებშიაც წინეთ არ ყოფილა.

ნიუ-იორკიდან მოსული ამბები გვატყობინებენ, რომ ამ ქამათ იქ არეულობა მეტის-მეტათ გაძლიერებულა. ძალაქის ქუჩები აჯანყებულებით არის სავსეო და ჯარების მომლოდინე პოლიციას თავის ღონით ვერა მოუხერხებია-რაო.

ამ ქალაქიდანვე მოსულიამბებით ეტყობულობთ, რომ არეულობა ამ ქამათ ჩიკაგოშიც გადასულა. ჯარებს თოფები უხმარიათ და ათი აჯანყებულთაგანი მოუკლავთ კიდევ. სხვა-და-სხვა მადნის მუშებსაც უფუწყვეტიათ მუშაობა და თავის პატრონებისაგან თხოულობენ ქირის მომატებას და დღიური მუშაობის დროს მოკლებას.

**იტალია**

იტალიურს გაზეთებში დაბეჭდილია მატკანიდამ გამოსული წერილი იმ ხმების გასამტყუნებელათ, რომ ვითომც რომის ეკლესიას განეზრახოს იტალი-

ასთან და იმ სახელმწიფოებთან მორიგება, რომლებთანაც ამ ქამათ ის უკმაყოფილოთ იმყოფება: „მატკანს ამ გვარი განზრახვა აზრათაც არ მოსვლიაო“, სწერია, სხვათა შორის, იმ წერილში.

**კამკასიის საბავიო ინსტიტუტი**

მშობიარე ქალები მიიღებინ ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარ-ბები უფასოთ მიიღებინ.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30-50 მანეთამდის არის.

მიღება ავთამყოფი ქალებისა და ქმაწვილების.

ძალის ავთამყოფობისათვის:

შოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11-დინ—დოქტორი მ ნ ა ნ ო ვ ი.

მთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდან 1-მდინ—დოქტორი რ ე მ ე რ ტ ი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ.მ 12მდინ—დოქტორი ა ღ ბ ა ნ უ ს ი.

საუმაწვილო ავთამყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მდინ და კვირაობით 10-დან 11-მდი—დოქტორი უ შ ა შ ბ ა თ ო ბ ი თ 12 საათზე რჩევა დოქტორებისა.

რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელიშიც საქალბო ავთამყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთამყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

**თფილისის სამკურნალო**

(4-ს აპრილის სახზოვრად)

პრენის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში. ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 საათამდინ.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშვი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მამაშვი—თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფ., ძიუჩარინცი—ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის და მინკიევიჩი—ხირურგიულიათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფი, ძიუჩარინცი—ყურის და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და მამაშვი—თვალის ავთამყოფობისა.

**განსხალბანი**

გამოსდილი და განათლბული მალლი, რომელმაც იცის რუსული, ფრაცუზული, ანგლიური და ნემენცური, ამდლმს ურკემს იავ ფასათ.

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიან მიმართოს მადამ პანონისს. ტეტრადოვის სახლებში მკრავსკის ქუჩაზე.

**ქილილა და მანა,**

თარგმნილი სპარსულიდამ ქართულ ენაზედ მეფე მახტანგისაგან და გალექსილი საბა სულხან მრბმლიანისაგან. სრულიათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

მისაც ექირება კაცი, რომელმანც იცის ბუხლალტერიის ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართოს „დროების“ რედაქციაში.

რკ. მზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 26 ივლისს		თფილი, 27 ივლისს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთაისს, შოთს	1	მართი ანეთი ღირს:		შქ. თფ. მანჯისა, ფო.	1 20
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქელი წითელი.	1
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	პარიჟში 262 ნანტიმი.	81	ქერი ფუთი.	70
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავს	2	მსკონტი(სარგებლისუხასი)	71	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	7
პიტილია	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შეეცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	—ამერიკისა, ფუთი.	8 50
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი(პირველისესხი)	207	გაპენტილი ბამბა ფო.	7 80
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	207 50	მატყელი თუშური ფო.	6
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76			ბირაოს ფურცლები:		—თარაქამისა ფო.	3 80
ფოთი	9 40		9 75	5 42			თფილ. საზნ. ბანკისა.		პბრეშუმი ნუხური სტ.	2 20
უფი	9 13						ხეოსონის ბანკის (5 1/2)	83	ქონი, ფუთი.	5 50
ახ.-სენაკი	—		1 18	66			მოსკოვის (5%)	90 50	ქონის სანთელი ფუთი.	6 20
სამტრედია	11 16		2 61	14					სტეპარინის სანთელი, ფ.	12
რიონი	12 13		3 41	69					ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
პიტილია	1 18	ღამე	3 98	2 21					—ცხვრისა, ლიტრაა	54
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96					სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24					შაქარი, ბროც. ფუთი	7 80
ბორი	7 5	4 87	3 64	9					—ფხვნილი ფუთი.	7 50
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4					ქვა გრგვალე, ფუთი	25
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42					ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9
									მქობა 1/2 იმპერიალი.	7 97

Дозволено цензурою. Тифლისъ, 28 Юля 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.